ცნობის ფურცელი

№ 2079 სამშაბათი, 25 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2079

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 39. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 თებერვალს 1903 წ.
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

ორი დარაჯი

მელოდრ. 3 მოქმედ. იტალიურიდან გადმოთარგმ. ფ. ქორიძის მიერ.

II

თაგვის ბრალია

ვოდევ. 1 მოქმედ. ფრანგულიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ელ. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, იმედაშვილი და სხვ.

ადგილების ფასები: ლოჟები 3 მან. 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 2.-მ-მდე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მ.-მდე, გალერეა 20 კ-დან 35 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ნორა“, „ოტელო“, „ყაჩაღები“. რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. მ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოდოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

მ. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. ბალკანეთის სახელმწიფოები ერთნაირად როდი უყურებენ მაკედონიის საქმეს. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი შემდეგს იწერება ამის თაობაზე: ერთმა გავლენიანმა კაცმა ბუქარესტში მითხრა, თუ ვინიცობაა ომი მოხდა, რუმინია ისე მოიქცევა, როგორც ავსტრო-რუსეთის შეთანხმება მოითხოვს. რუმინია თავის თავად მაკედონიის საქმის გამო ხელსაც არ გაჰძრავს, რადგან დიდმა სახელმწიფოებმა დაარწმუნეს, მაკედონიის რეფორმების შესრულება არაფერს ზიანს არ მისცემს მაკედონელ რუმინებსაო. ეხლა კი თავდა-პირველად რუმინია იმას უნდა ეცადოს, რომ ბოლგარიაში აკრძალული მაკედონიის კომიტეტები რუმინიაში არ გადმოვიდნენ. ამის წინააღმდეგ რუმინიამ ენერგიული ღონისძიება უნდა მიიღოს. რუმინიის ჯარის მობილიზაციის შესახებ ჩამი-ჩუმიც არ ისმის, მაგრამ განკარგულება კი მოახდინეს, რომ ჯარი ხელად მოემზადოს სალაშქროდ. ჯარი კარგადაა შეიარაღებული და ისიც ტყუილია, ვითომ ჯარს სამხედრო მასალა აკლდეს. რუმინიისა და ბოლგარიის შეთანხმებაზე არა ისმის-რა და, ალბად, რუმინიის მეფისა და ბოლგარიის მთავარსაც უკანასკნელ შეხვედრის დროს მაკედონიის საქმეზე არა ჰქონიათ ლაპარაკი. რუმინიის ხალხი სულაც არაა ომის გუნებაზე და დარწმუნებულია, რომ ამ გაზაფხულზე ბალკანეთში მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. პოლიციამ ბრძანება მიიღო ბოლგარიიდან და ოსმალეთიდან მოსულ ხალხს ბეჯითად ადევნოს თვალ-ყური. რუმინიაში მცხოვრები ბოლგარელი სათადარიგო ჯარისკაცები სამშობლოში ბრუნდებიან.

სულ სხვა თვალით უყურებს საქმეს სერბია. ბოლგარიას ჭკუაში არ მოსდის სერბიის ქცევა, ამიტომ მთავრობამ საერო კრების გამოჩენილი წარმომადგენელნი საიდუმლო კრებაზე მოიწვია. წარმომადგენლებმა მთავრობას სერბიასთან შეთანხმება ურჩიეს. ამბობენ, სამინისტროს საბჭოსაც ჰქონდა თათბირი მაკედონიის საქმეზეო. ვითომ საბჭოს ძველი პროექტის თანახმად უნდოდეს, რომ სერბიამ და ბოლგარიამ მაკედონია გაიყონ. ბელგრადში წინანდებურად იმ აზრზე დგანან, რომ თუ მაკედონია ბოლგარიამ ჩაიგდო ხელში, მაშინ სერბია დაიღუპებაო.

საფრანგეთი. ლურდიდან იუწყებიან: აქაურ სასწაულთ-მომქმედის მღვიმეს ბერები წასვლას აპირობენ აქედან; დარწმუნებულნი არიან, რომ პარლამენტი მოქმედებას აუკრძალავთ. ლურდის ვაჭრები საქონელს აღარ ყიდულობენ; ეშინიანთ პარლამენტმა სასწაულთ-მომქმედ მღვიმეში სალოცავად სიარული არ აუკრძალოს ხალხსაო. ამ ბოლოს დროს ახალ სასტუმროების აშენებას შეუდგნენ, მაგრამ ეს შენობებიც დააყენეს. ბერები ცდილობენ ადგილობრივ ხალხს მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაციები გაამართვინონ, მაგრამ ხალხი ძლიერ მცირედ თანაუგრძნობს ბერებს. ხალხი მაგდენად როდი შეწუხდება „ბერების“ გულისთვის, რადგან ძლიერ ცოტა სარგებლობა აქვს ლურდის მლოცავებისაგან. მღვიმეს გარდა, ყველა აქაური სასტუმროები და მაღაზიებიც ბერების ხელშია, ასე რომ ლურდის მცხოვრებლებს წილად ნამცეცები-ღა რჩება. მცხოვრებლების მამულებიც, მომეტებულ ნაწილად, ბერებს უჭირავთ.

ინგლისი. ბირმინჰამში ინგლისის ლიბერალურ ფედერაციის უმთავრეს კომიტეტის კრება მოჰხდა. კრებამ მრავალი რეზოლიუცია დაადგინა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ და მკაცრად დაჰგმო სასკოლო კანონი, დიდი გადასახადები, კოლონიებში ძალდატანებით ანუ მონურ შრომის დაწესება. კრებამ ბრიუსელის საშაქრო კონფერენციის დამტკიცებაც არ მოიწონა.

◆ ინგლისი უმთავრესად გარედან მოტანილს სანოვაგითა და ხორაგით საზრდოობს. ბევრ ინგლისელს ეშინიან, ვაი თუ ომის დროს საზრდო შემოგვაკლდესო. 14 თებერვალს ლონდონში ლორდ-მერის თავმჯდომარეობით მოახდინეს კრება და მოითხოვეს: ძალა დავატანოთ მთავრობას და კომისია დავანიშვნინოთ ამ საქმის გამოსაკვლევადაო. კრებაზე ბევრი სიტყვა წარმოსთქვეს ორატორებმა და იმათ შორის მარკიზ სოლსბერის შვილმა, ლორდ გიუგ სესილმაც. დასასრულ კრებამ სამეფო კომისიის დანიშვნა მოითხოვა და დაადგინა პირველ მინისტრთან დეპუტაცია გავგზავნოთო. პირველი მინისტრიც დაჰპირდათ, მივიღებ მაგ დეპუტაციასაო.

◆ დეპეშებში ეწერა: ინგლისში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ზარალი მოუტანა ხალხსაო. გაზეთებში დაწვრილებითაა აწერილი ამ ქარიშხალის ამბავი:

ქარიშხალმა უმთავრესად ინგლისის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი დააზარალა: ბევრი ტელეგრაფის ბოძი წააქცია, მავთულები დაწყვიტა, სახლებიდან სახურავი აგლიჯა, ნავთ-სადგურები წაახდინა, ბევრი ფაბრიკის საბოლე და რამდენიმე სამრეკლო გადმოანგრია, რამდენიმე გემი დაღუპა და ერთი რკინის გზის მატარებელი რელსებიდან გადააგდო. ბევრი ხალხი მოჰკლა და დაშავა. ლივერპულში, მაგალითად, ქარიშხალმა მაღაზიების ფანჯრები დაამსხვრია. ქუჩები შუშის ნამსხვრევითა, კრამიტითა, თხელის რკინითა და ზედ-წარწერითა მთლად გაივსო.

ფელეტონი

საკვირაო სკოლა

(შენიშვნები)

I

„დაფიქრებულხართ როდისმე, ბატონებო, თუ როგორ ატარებს ბავშვობას და სიყმაწვილეს ღარიბი ქალი? ბედნიერნი ხართ: ცხოვრების პირველ დღეებიდან გარს გახვევიათ ალერსი და მზრუნველობა; როგორც კი წამოიზარდეთ, დაგიწყესთ სწავლება და აღზრდა; გაათავებთ გიმნაზიას და თქვენ განათლებულ ქალს დაგიძახებენ. იქ კი, ხალხში, სულ სხვაა! ჯერ მწუხარებით სავსე ბავშვობას ქალი დედასთან ატარებს, მზარეულან მრეცხელ ქალთან, რომელიც ჯაფით დნება, როგორც ცეცხლში. მერმე ახალგაზდა ქალს მიუგდებენ მკერავს, დედასავით გაუნათლებელს; მკერავი იმას შეჰყურებს, მხოლოდ როგორც სამუშაო ძალას. არავის არ გაახსენდება, არავინ არ იფიქრებს, რომ ბავშვს, შეიძლება, ნიჭი ჰქონდეს და საჭირო იყო სწავლით იმისი გაადამიანება. ასე მუშაობაში მიჰქრიან პატარა გოგონას დღეები, წლები და როცა წამოიზრდება და შრომით იყიდის უქმე დღეს დასვენებას, არ იცის, როგორ გაატაროს ეს დღე. კვირაობით იგი იძულებულია ჯანმთელობის დაკარგვით შეძენილ კაბაში გამოეწყოს და დაალამოს ქუჩაზე ხეტიალით, რომელიც არაფერს ეუბნება არც გულს, არც სულს და არც ჭკუას.

„მაგრამ გამოჩნდნენ, როგორც თქვენ, განათლებული ქალები და გადასწყვიტეს შეეწირათ ღარიბთათვის კვირა დღის მოცალეობა, მიეწვია სკოლაში ათასი წერა-კითხვის არ მცოდნე, თანაგრძნობით გაემხნევებიათ, სიყვარულით და ალერსით გამოეწვიათ გულწრფელობა იმათში და გადაეცათ მათთვის, რაც ისწავლეს წიგნების საშუალებით და მასწავლებლებისა და დედების მზრუნველობით. ღარიბი ქალიშვილებიც მივიდნენ და აავსეს სკოლები; 5—6 ვერსიდან მოდიან ისინი, კვირის მოსვენებას სწავლისათვის ხმარობენ და ამით ბედნიერნი არიან. რა გულწრფელი უნდა იყოს იმათი სწავლის სურვილი და როგორ უნდა ამაყობდეს სკოლა, რომელმაც გამოიწვია ასეთი თანაგრძნობა მოწაფეთა შორის!..

„თქვენს ქალაქშიაც არის საკვირაო სკოლა! გაუფრთხილდით იმას, შეიყვარეთ იგი და, როცა გაათავებთ სწავლას, მიიღეთ იმის ცხოვრებაში მონაწილეობა! ოო, როგორი ბედნიერი ვიქნები მაშინ, იმ აზრით, რომ თქვენ პირველად ჩემგან გაიგონეთ საკვირაო სკოლის მნიშვნელობა“...

ასე ელაპარაკებოდა ნიჟნი ნოვგოროდის გამოფენაზე გიმნაზიელ ქალებს ქრისტინე დანილის ასული ალჩევსკისა; მხოლოდ თავის მეცადინეობით მაგარ საფუძველზე დააყენა იმან ხარკოვის საქალებო საკვირაო სკოლა და მიუხედავად დროთა ბრუნვისა, გადაარჩინა ყველა დაბრკოლებას, რომელიც ჩაყლაპვას უქადდა სკოლას.

ალჩევსკისას არ გადაუმეტებია: სწორედ სიყვარულისა და გულწრფელობის ნაყოფია საკვირაო სკოლა: ვერავითარი ძალდატანება, მატერიალური ანგარიში ვერ შეჰქმნიდა იმას და ვერ დააყენებდა იმ ზნეობრივ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი ახლა სდგას. საკვირაო სკოლის საუკეთესო მოღვაწეთა წრე უფრო გრძნობიერი ნაწილია საზოგადოებისა, რომელსაც აინტერესებს არა რაიმე ჯილდო, არამედ სურვილი, როგორმე გადაუხადოს ხალხს ამაგი, რომლითაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო უხვად სარგებლობს... ეხლა ხან ესეც კარგია...

„ახალგაზდა მასწავლებელი ქალები 1) რომ სულითა და გულით ეკიდებოდნენ საქმეს, შეამჩნევდა ყველა, უმეცარიც კი.“ „იგი (მასწავლებელი ქალი)—გადმოგვცემს დასახელებული ავტორი ალჩევსკაიას დღიურიდან —მოწყენილი იყო და ეტყობოდა ძლივს იკავებდა ცრემლებს.„ 2) და ამ ქალის სამწუხარო ხვედრი მხოლოდ ის არის, რომ უნდა მიატოვოს საკვირაო სკოლა...“ „ისე მივეჩვიე ჩემს მოსწავლეებს, რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ მოჰხდება, რომ უნიჭო ლუკერია ვ., რომელსაც არც ერთი გაკვეთილი არ გაუშვია და შორე გზით ყოველთვის დროზე მოდის სკოლაში, აღარ იქნება ჩემი მოწაფე. სადაც უნდა იყოს ის, მე ყოველთვის ვუყურებ იმის კეთილს, მომღიმარს სახეს, ყოველთვის ვგრძნობ, რომ მისი ჭრელი პატარა თვალები ალერსით მიყურებენ —და ვერ წარმომიდგენია, როგორ გავაგდებ იმას სკოლიდან, და როგორ საყვედურით დამიწყებენ ყურებას წინად მოალერსე პატარა ჭრელი თვალები. 3)

ყველაზე უწრფელეს სურათს გადმოგვცემს ალჩევსკისა ერთ მასწავლებელ ქალზე, რომელიც იმასთან მისულა თხოვნით: მეც მომეცით ნება საკვირაო სკოლაში ვასწავლო ბავშვებსაო. „მასწავლებელი ქალი დავტოვე ოთახში და მე გაკვეთილის მისაცემად წავედი; როცა დავბრუნდი, შემდეგი სურათი დავინახე: გრძელ საკლასო სკამზე იჯდა ყმაწვილი მასწავლებელი ქალი; გვერდში უჯდა 9 წლის გოგონა. მასწავლებელს ბავშვისათვის ყელზე ხელი შემოეხვია, მისკენ გადახრილიყო და უკითხავდა წიგნაკს; ეტყობოდა, რომ მასწავლებელს უნდოდა ბავშვს თვალი ედევნებინა იმ ჰწკარებისათვის, რომელთაც თვითონ ხმა მაღლა ჰკითხულობდა, მაგრამ ბავშვი ისე აღფრთოვანებია საერთო შთაბე-

---

1) Частная Воскр. школа въ Харьковѣ Я· В. Абрамовъ გვ. 13.

2) იქვე გვ. 46.

3) „Полгода изъ жизни воскресной школы“ ალჩევსკის დღიურიდან, გვ. 30—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრაფის მავთული ამდენ იდგილას გასწყვიტა, რომ დეპეშების გზავნა ლივერპულსა და ირლანდიასა, შოტლანდიასა, კუნძულ მენსა და ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილ შუა მთლად შეწყვეტილი იყო. მანჩესტერში გადმონგრეულმა სახლის სახურავმა ერთი ყმაწვილი მოჰკლა და 14 კაცი დასჭრა. პრესტონში სახლის სასურავი ჩაინგრა და ერთი დედაკაცი გასჭყლიტა. დარლინგტონში პრესვიტერიანთა ეკკლესიის სამრეკლო დაინგრა. საბედნიეროდ, ეკკლესიაში არავინ ყოფილიყო. გალიხედში ახალი ეკკლესია დაინგრა. ბანგარში ქარიშხალმა ხიდი დაანგრია. ბელფასტში ბევრს სახლს სახურავი აჰგლიჯა. კორკში სამ სართულიანი სახლი დაინგრა და 15 კაცი ქვეშ მოიყოლა: ერთი კაცი მკვდარი გამოიღეს, დანარჩენნი-კი ზოგი ცოტათი, ზოგი ძლიერ, ყველანი დაშავებულიყვნენ. გლასგოში ქარიშხალმა გემი დაამტვრია და 9 კაცი მოჰკლა. ინგლისის ყველა კუთხიდან ამბავი მოდის, ყველგან ბევრი ხალხი დაიღუპა. თუ რამდენად ძლიერი ყოფილა ქარიშხალი, შემდეგის ფაქტიდანა სჩანს. კორკიდან ულვერსტონში მიმავალი ფოსტის მატარებელი ქარს გადაუგდია. მარტო ლოკომოტივი და ტენდერი-ღა დარჩენილა რელსებზე. ვაგონებში მყოფი მგზავრები დაშავებულან. ამათგან 32 კაცი სხვებს გამოუყვანიათ, დანარჩენნი-კი, როგორც იყო, თითონ გამოსულან და მახლობელ სადგურზე წასულან, მაგრამ ისეთი დიდი ქარი ყოფილა, რომ ზეზე სიარული ვერ შეუძლიათ და მთელი გზა სულ ცოცვით გაუვლიათ. 4 მგზავრი ვერ იპოვეს. ჰფიქრობენ, ქარი მდინარე ლევენში გადაჰყრიდაო. ასეთი დიდი ზარალი მოიტანა ამ საშინელმა ქარიშხალმა.

◆ დეპეშებიდან გეცოდინებათ, რომ კამათი მეფის ადრესის თაობაზე დასრულდა. კამათი იმიტომ დასრულდა ისე ჩქარა, რომ ირლანდიელებმა უკან გაიტანეს თავიანთი წინადადება საადგილ-მამულო რეფორმის თაობაზე და ამის მეტი სხვა წინადადებაც არა შეუტანიათ-რა: არ უნდოდათ მთავრობასთან კეთილი ურთიერთობა დაერღვიათ. ამის თაობაზე ლიბერალური გაზეთი „დაილი ნიუს"-ი სწერს:

„თუ ამ პატარა საქმემ ასეთი დიდი შედეგი იქონია, მაშინ რაღა იქმნება ინგლისი და ირლანდია სამუდამოდ რომ შერიგდნენ და შეთანხმდნენ. ინგლისის პარლამენტს ძლიერ გაუადვილდება მოქმედება. საიმპერიო პარლამენტი თავისის ტვირთის ნახევარს მაინც მოიშორებდა თავიდან და უფრო სასარგებლო საქმეებს შეუდგებოდა. წმ. გიორგის არხს გაღმაც (ირლანდიაში) ხალხი აღარ დაცოტავდებოდა, პირიქით გამრავლდებოდა და თან-და-თან ინგლისის ერთგული შეიქმნებოდა; ინგლისიც მოისვენებდა და მთელ თავის დროს შინაურ საქმეებს მოანდომებდა".

შეერთებული შტატები. პრეზიდენტ რუზველტის თაოსნობით ტრესტების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. შტატების უმაღლეს სასამართლოს ტრესტების საქმეზე ამ დღეებში მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო განაჩენი დაუდგენია. აქამდე ფედერალურ მთავრობას უფლება არა ჰქონდა სხვა-და-სხვა შტატის სავაჭრო საქმეებში გარეულიყო. უმაღლესი სასამართლო-კი ამტკიცებს: ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს საქმეში გაერიოს, ზოგიერთი სავაჭრო ურთიერთობა უკანონოდ სცნას და ფედერალურ კანონების ძალით აკრძალოს. ჰფიქრობენ, თუ ეს განაჩენი დამტკიცდა და საკონსტიტუციო წესად დაიდო, ტრესტებს ძლიერ შეეკვეცებათ ფრთებიო.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ, გუშინ საღამოს, ქალაქის მოურავად აირჩია თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (61 თეთრი და 10 შავი).

◆ როგორც გვითხრეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში განსახილველად აქვთ იმის პროექტი, რომ ჩვენს ქვეყანაში კიდევ 28 მომრიგებელ შუამავალთა თანამდებობა დაწესდეს, რადგან განუზრახავთ სახაზინო გლეხთა მიწების გაწესრიგება.

◆ კვირას, 23 თებერვალს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის დარბაზში მოხდა წლიური კრება ტეხნიკოსთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ ჯერ განიხილა მოხსენება გამგეობისა და ანგარიში კასსის მოქმედებისა. კრებამ მიიღო შეუცვლელად როგორც მოხსენება, ისე ანგარიში. შემდეგ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯი საზოგადოებას ამ წელს ექმნება 900 მანეთამდე. მერე შეუდგნენ არჩევანს გამგეობის თავმჯდომარისას. ამორჩეულ იქმნა მ. დ. მინაევი. გამგეობის წევრებად აარჩიეს: ე. ა. ვალი და გ. ი. ყულიჯანოვი; იმათ კანდიდატებად; ა. ე. მანუჩაროვი, ტ. ი. ნალბანდოვი და ა. მ. გალკინი; სარევიზიო კომისიის წევრებად: მ. დ. აგლაძე, მ. ი. ვახნიანსკი, ა. ა. ლებედოვი, ნ. გ. სარუხანბეგი და ა. ა. ენფიანჯიანცი.

◆ გუშინ, 24 თებერვალს, თელავში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც შესდგება წევრების ბ-ნ ლაზარევისა და მიტკევიჩისაგან.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გორში დარჩება 11-დან 22 მარტამდე და 14 აპრილიდან 25-მდე; ახალქალაქში—17-დან 18 მარტამდე; ახალციხეში—21-დან 26 მარტამდე და სურამში—21-დან 26 აპრილამდე.

◆ 7 მარტისათვის დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, ხმოსან ტეხნიკოსთა და იმ კომისიისა, რომელიც ჰიდრავლიურ სადგურის საქმეს განაგებს. ამ კრებამ საბოლოოდ უნდა განიხილოს იმ სადგურის ბგების საქმე, რომელსაც ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ მოჰკიდა ხელი.

◆ სადგურ განჯაზე თურმე ძლიერ მძვინვარებს ქუნთრუშა. ავადმყოფები იმდენია, რომ იქ ადგილი აღარ არის საავადმყოფოში და ტფილისისაკენ ჰგზავნიან.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ტრამვაის უსახელო საზოგადოებას, ბრძანება გაეცით მოსამსახურეებზე ტრამვაის ვაგონები შეაჩერონ იმ დროს, როცა ცეცხლის მქრობელი რაზმი საჩქაროდ ცეცხლის ჩასაქრობად მიდის, თორემ ხშირად უშლიან ვაგონები რაზმის მოძრაობასაო.

◆ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის შარშანდელ ანგარიშიდანა სჩანს, რომ წარსულ წელს ლაბორატორიას 757 სხვა-და-სხვა სურსათ-ხორაგეული შეუმოწმებია და ამათგან 592 ყალბად შეზავებული გამომდგარა. მაგალითად: ერბოსა, კარაქისა და მაწონისა 85 ნიმუში მოჰსვლია ლაბორატორიას და ყველა ყალბად შეზავებული გამომდგარა; ღვინის ნიმუშებისა 8% შაქრით შეზავებული აღმოჩენილა; 5 ნიმუში ყავისა, ჩაისა, მაკარონისა თუ სხვა — ყველა უვარგისი გამომდგარა; 111 ნიმუში პურის ფქვილისა გაუსინჯავს და ამათგან 45 მწარე და დამპალი გამომდგარა, ფქვილი რუსეთიდან შემოზიდული ყოფილა. კონფეტებისა 95 ნიმუში გაუსინჯავს და აქედან 91% ყალბად-შეზავებული ყოფილა.

ამ გვარადვე სხვა გვარი ხორაგეულობაც ყალბად შეზავებული გამომდგარა. უმთავრესად შრომა დაუდევს ლაბორატორიას ქალაქის მილის წყალის გამოკვლევაზე. ნიმუშები ამოუღიათ ავჭალაში და ქალაქშიაც მილებიდან და კრანებიდან. ყველა ნიმუშებით დამტკიცებულა, რომ ქალაქის მილის წყალი უწმინდურიაო.

◆ ცეცხლისაგან დამზღვევ ტფილისის საურთიერთო საზოგადოების წევრთა კრება გუშინ-წინ იყო დანიშნული, მაგრამ საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა და კრება ვერ შესდგა.

◆ გუშინ ჩვენ დავბეჭდეთ, რომ ხარაგაულსა და მარელისს შუა ზვავი ჩამოწვა და რკინის გზით სიარული შეაჩერაო. შეჩერებულია საქონლის მატარებელთა მიმოსვლა, მგზავრნი-კი ერთი მატარებლიდან მეორეზე გადადიან. თურმე ძალიან ყოჩაღობა გამოუჩენია გზის მცველს ივლიანე გოგინაიშვილს, რომელსაც ლიანდაგის დავლის დროს ღამის პირველ საათზე შეუმჩნევია ლიანდაგზე ჩამოწოლილი ქვა-მიწა და გაჰქანებულა ნახევარ ვერსტზე და იქ გაუჩერებია ტფილისიდან მომავალი სახალხო მატარებელი. შეკრულია 30—40 საჟენის მანძილი. რკინის გზის ადმინისტრაცია დროებით ლიანდაგს ამზადებს.

◆ ქალაქის გამგეობას განუზრახავს სურსათ-სანოვაგეთა თვალ-ყურის დევნა ტფილისის ბაზრებში სასანიტარო საექიმო საბჭოს ჩამოართვას და ამ საქმისათვის ცალკე კაცი დააყენოს.

◆ ტფ. პოლიცმეისტერს რამდენიმე საჩივარი მიჰსვლია აქაურ შუშით მოვაჭრეებზე, ნაყიდი შუშა საჟენი არ გამოდისო. პოლიციას შეუმოწმებია ვერაზე რამდენიმე საწყობი შუშისა და ერთგან გადაუდაგებია კიდეც დაწყობილი შუშა და ერთ მეოთხედ საჟენს 134 ნაჭერი დაჰკლებია ისე რომ საჟენს ხუთას ნაჭერზე ნაკლები არ დააკლდება. რა თქმა უნდა, კარგი თაბაუთია ამ გვარად შუშის დაწყობა და პატრონსაც აგრე უხსნია პოლიციისათვის: ამ ჟამად შუშას ისეთ ფასში ვყიდულობთ, რომ სხვა ნაირად არ შეგვიძლია გავყიდოთ.

◆ დღეისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: სანდრო დაბალიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება, გიორგი ურუგავასი—ეკკლესიის გაქურდვა ჰბრალდება, ვიო გულიაშვილისა, მიხეილ ფარსადანოვისა და სხვათა.

◆ როგორც თელავის მაზრის სოფელ ხველიანდიდან გვატყობინებენ, ამ სოფლის მცხოვრებთ ზურაბ, ბიბო და გიორგი ხუგაშვილებს რაღაცა ზედაც ჩხუბი მოსვლიათ რუსია ხუგაშვილთან, რომელიც პირველთ ისე მძიმედ დაუჭრიათ, რომ იმისი მორჩენა საეჭვოა თურმე.

◆ დღეს, 25 თებერვალს, სხდომა ექმნება ხორცის დუქნების გამგე კომისიას რამდენისამე საქმის განსახილველად. სხვათა შორის, კომისია განიხილავს ქალაქის დუქნების 1902 წლის ანგარიშს.

◆ როგორც თელავის მაზრის სოფელ კონდოლიდან გვატყობინებენ, ამ სოფელში მოვაჭრე კისისხევის სოფლის მცხოვრებ ნიკოლოოზ გოცირიძისათვის კონდოლის მცხოვრებს გლეხს ნიკო დათუნაშვილს 10 ჩაფი კახური ღვინო მოუპარავს.

◆ აქსტაფიდან გვატყობინებენ: 22 თებერვალს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-484 ვერსზე, მატარებლიდან გადმოვარდა ნავთის მილის მუშა შორაპნის მაზრის მცხოვრები პეტრე ხურტაძე და მძიმედ დაშავდა. დაშავებული აქსტაფის საავადმყოფოში დააწვინეს.

◆ განჯიდან გვატყობინებენ: 23 თებერვალს, განჯის სადგურზე, მანევრების დროს, შორაპნის მაზრის მცხოვრები იაკობ ნიქაბაძე, როდესაც ლიანდაგს გადადიოდა, მატარებელ ქვეშ მოჰყვა. ორთქლმავალმა მარჯვენა ფეხი მოსტეხა და მხარი დაუშავა. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც გადმოგვცეს, წიგნების მაღაზიის პატრონებს განუზრახავთ დააარსონ ქუთაისში წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების გამყიდველი ამხანაგობა. ბ-ნ ნ. წერეთელს, რომელსაც ეკუთვნის ინიციატივა ამხანაგობის დაარსებისა, უკვე შეუდგენია წესდება და ამ მოკლე ხანში წარუდგენს კერძო კრებას განსახილველად. თითო პაი

ჰქდილებას, რომ შეეჰყიტა ჰკვიანი თვალები მასწავლებლისათვის და დაეწყებოდა თავისი მოვალეობა; მე კი ვფიქრობ, რომ ყველა ასე მოიქცეოდა ბავშვის ადგილას, ისე მშვენიერი იყო მასწავლებლის სახე, რომელშიაც იხატებოდა განუსაზღვრელი სინაზე, ლმობიერება, გონება და სიყვარული; სულ გაკმენდილი, ულრმესის პატივისცემით შევყურებდი ამ ცოცხალს სურათს; ისინი კითხულობდნენ ტოლსტოის ამბავს: „სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ ჰსუფევს". მათის ცქერით მეც ვგრძნობდი ამ სიყვარულის ღმერთს. [4]

ასეთს გულწრფელს ინტელიგენციის მოღვაწეობას უდრის ხალხის სიყვარული სკოლისადმი. აი მაგალითები. სკოლის დამაარსებელს დაურიგებია მოწაფეებისათვის საპონი. მოსწავლეს შეუნახავს ეს უბრალო პირსაბანი საპონი და უთქვამს: „ღმერთმა დამიფაროს ამ საპნით ვიბანო, როგორც ქრისტინე დანილის ასულმა; არა, შევინახავ საპონს სახსოვრად სიკვდილამდის." [5]

ასე იფიქრეთ, ლექსებითაც კი გამოსთქვამენ ხოლმე თავის გრძნობას ანბანის ძლივს მცოდნე მოწაფეები; აი რას სწერს ერთი მათგანი: „Я прежде читать и писать не умѣла была я темна, какъ осенняя ночь Мнѣ свѣтъ показала воскресная школа. Теперь что-нибудь сочинить я не прочь."

როცა ხარკოვის მიდამოებში წყალ-დიდობა იყო, მოწაფეები ნავით მოვიდნენ სკოლაში; ზოგი იძულებული იყო სახლიდან ჰერით გამოსულიყო. [6] ხშირად მოჰხდება, რომ რომელიმე მოწაფე მამის ჯიუტობით, თუ სხვა რამ მიზეზით, მიატოვებს სკოლას რამდენისამე წლით, მაგრამ, როგორც კი გარემოება ხელს შეუწყობს, ისევ უბრუნდება სკოლას. ასე, მამის გადაწყვეტილების შემდეგ საკვირაო სკოლას დაუბრუნდა ქალი, რომელიც 9 წლის წინად მამამ გაეყვანა. [7]

ერთს მკერავს ქალს, რომელიც წინად სკოლაში სწავლობდა, მოჰყავს ორი თავისი მუშა-მკერავი ქალი. „ძილშიაც კი ესიზმრებათ სკოლა—ეუბნება მომყვანი სკოლის გამგეს,—როცა მე დავუწყებ სკოლაზე ამბავის თხრობას. ორივენი დროზე ივლიან და გაკვეთილს არ გაუშვებენ. მე თვითონ დავათავებ სამუშაოს, მაგათ კი უსათუოდ გამოვუშვებ სკოლაში; კარგად ვიცი, რა ცუდია გაკვეთილების გაშვება! როცა ჩემი დიასახლისი არ გამომიშვებდა და ორს სამს კვირას დავაკლდებოდი, ამხანაგები გამასწრებდნენ, ისე რომ გაკვეთილებისას ვერაფერს გავიგებდი; ამიტომაც გადამიყვანდნენ მეორე მასწავლებელთან—ამაზე ცუდი კი არაფერია: ძველს მიჩვეული ხარ, ახალის—გრცხვენიან, დანაშაულობას კი არა ვგრძნობ.... ასეთ შემთხვევაში ხშირად მიტირნია"!... [8]

ასეთის განწყობილების შედეგია ის, რომ სკოლა, რომელშიაც წელიწადში სულ 32—38 გაკვეთილია, ახერხებს იმდენივე გადასცეს მოწაფეებს, რამდენსაც პირველ-დაწყებით ყოველ დღიური სკოლები იძლევიან, ხშირად ისტორიისა და გეოგრაფიის მოკლე კურსსაც კი გადიან; ყოფილა მაგალითები, როგორც ბ-ნი აბრამოვი მოგვითხრობს, რომ ხარკოვის საკვირაო სკოლის სახალხო მასწავლებლის ეგზამენისათვისაც კი მოუმზადებია მსურველი.

ვერ მომითმენია, რომ ერთი მაგალითი კიდევ არ მოვიყვანო იმისი, თუ როგორი სურვილია აღძრული ხალხში სწავლის მიღებისა. რას იზამ, რომ ეს მაგალითიც რუსეთის ცხოვრებიდანაა აღებული: ჩვენი მწერლობა არ გვიჩვენებს ასეთს მაგალითებს, თუმცა ასეთი ამბები ხშირია. აი, რას გვიამბობს მასწავლებელი ქალი კირილევისა თავის წლიურს ანგარიშში:

„მე მინდა სწავლა, მინდა ყველაფერი ვიცოდე—ამბობს ლ., სოფლიდან ჩამოსული მაღაზიაში მოსამსახურე გოგო; კვირაობით გაფაციცებით სცდილობს ყოველი სიტყვა შეიგნოს, თვალს არ გაშორებთ და გაკვეთილის შემდეგ მადლობას გეუბნებათ: მადლობელი ვარ თქვენი... სიხარული ვერ გამომითქვამს, რომ სკოლაში მიმიღეს". მერმე მოგვითხრობთ, შარშან როგორ შეხვდა ერთს ქალს, რომელმაც უამბო საკვირაო სკოლის შესახებ. მერმე სკოლაში შესვლის სურვილმა დაჰფარა ყველა სხვა მისწრაფებანი; მუშაობის დროს ნემსი ხელიდან უვარდებოდა, მაგრამ ვერ ჰბედავდა ეთხოვნა დიასახლისისათვის სკოლაში წასვლის ნება. ბოლოს, როგორც იყო, გაჰბედა და დიასახლისმაც გაუშვა; მიირბინა სკოლაში, მაგრამ დაგვიანებული იყო და აღარ მიიღეს. ქალს, როგორც იმან მიამბო, გულმა ცემა დაუწყო, თვალები დაუბნელდა; არ ახსოვს, როგორ მოეხმარა შვეიცარი კარეში გასვლის დროს, იცის მხოლოდ, რომ სკოლიდან ეკკლესიაში წავიდა... შეიძლება—აიმედებს ქალი თავს—უკეთ მოხდა, რომ შარშან არ მიმიღეს: შარშან რომ შემოვსულიყავი სკოლაში, მაშინ თქვენ არ იქნებოდით ჩემი მასწავლებელი" [9].

II

აკიბასი არ იყოს,—„ყოფილა, ყოველივე ყოფილა",—დაუვიწყარ დროიდან ხდება ერთი და იგივე მოვლენა მთელს ბუნებაში; მხოლოდ მისი ელფერი იცვლება, იცვლება დღითი დღე, ყოველს წუთში; ერთი მოვლენა ყოველის მხრით მეორეს არა ჰგავს არას დროს, და ამიტომაც ჩვენ, ადამიანები, გვიან შევნიშნავთ იმათ ერთგვარობას. ასეა საკვირაო სკოლის ისტორიაც. იქნებ, და მე ვფიქრობ, რომ უსათუოდ, საკვირაო სკოლის დედა აზრი ბევრად უფრო დიდის ხნის წინად, ვიდრე ისტორიამ იცის, გავრცელებული იყო საზოგადოებაში და იმის სისრულეში მოსაყვანად დროის შესაფერ საშუალებასაც ხმარობდნენ. ისტორია კი საკვირაო სკოლისა იწყება მე XVI საუკუნიდან—რეფორმების ეპოქიდან.

მილანის ტაძართან მე-XVI საუკუნეში პირველად, დააარსა საკვირაო სკოლა ეპის-

---

[4] იქვე, 65 გვ.

[5] იქვე, 93 გვ.

[6] იქვე, 120 გვ.

[7] Частная воскр. женск. шк. въ Харьк. Абрамовъ, 12 გვ.

[8] ibi 28 გვ.

[9] Русская школа „педагогическая хроника", 51 გვ.

(წილის ფული) ეღირსება 100 მან. საქმის ინიციატორებს ჰსურთ ამხანაგებად შეიძინონ უფრო სოფლის მასწავლებელნი, რომელთა დახმარებითაც ამხანაგობა აპირებს წიგნების გასაღებას სოფლებში. ამხანაგობას ექმნება სხვა-და-სხვა ადგილას განყოფილებანი და იმისდა მიხედვით, რამდენს წიგნს გაასაღებს განყოფილება, ან აგენტი, ამხანაგობა გასცემს პრემიას. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ქუთაისში არსებულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობასაც ასეთივე მიზანი აქვს და თუ მომწიფდა ის აზრი, რომ არსებული წიგნების მაღაზიები არა სასურველ კონკურენციას უწევენ ერთი მეორეს და საჭიროა მათი შეერთება და წიგნების ვაჭრობის გაწესრიგება, რატომ ეს შეერთება არ უნდა მოხდეს არსებულ ამხანაგობასთან?! ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ რა ზარალს მოუტანს საქმეს, როცა ერთს რაიონში მოქმედობს რამდენიმე ამხანაგობა ერთგვარ პროგრამით. გავიხსენოთ, მაგალითად, სამეურნეო ამხანაგობის „ზვარის“ მოღვაწეობა და არსებობა, დრანდის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა და სხვა. რაც შეეხება წიგნების გამომცემელ ამხანაგობას, გარდა ზემო ხსენებულისა, არსებობს კიდევ ქუთაისში საყმაწვილო წიგნების გამომცემელთა ამხანაგობა, დ. ხონში ამხანაგობის დაარსება განიზრახეს სოფლის მასწავლებლებმა და წესდებაც შედგენილი აქვთ, არსებობს ამხანაგობა კიდევ სხვა-და-სხვა სოფლებში და დაბებში, მაგრამ ეს კიდევ დიდი საკითხია სასურველია თუ არა ხსენებულ ამხანაგობათა არსებობა.

◆ ორშაბათს, 17 თებერვლისათვის, დანიშნული იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება, რომელსაც, გარდა მიმდინარე საქმეებისა, უნდა განეხილა საკითხი გამოფენა-კონკურსების შესახებაც. მაგრამ კრებას არ დაესწრო წევრთა საკმაო რიცხვი და გადაიდო 4 მარტისათვის. ჩვენის აზრით, წევრების ეგრეთი დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ უმეტესმა მათგანმა არ იცის, როდის არის დანიშნული კრება, თუმცა ხანდისხან ვასილ ბეჟინეიშვილის წიგნის მაღაზიაში გამოჰკიდებენ ხოლმე პატარა უწყებას, კრების დღეს, მაგრამ ყველა წევრისათვის ხომ სავალდებულო არ არის ბეჟინეიშვილის წიგნის მაღაზიაში ყოველ დღე ყოფნა. ამასთანავე საჭიროა, რაც შეიძლება, ხშირად ინიშნებოდეს კრება, თორემ განყოფილების წევრები ბ-ნნი ტიებო და სხვანი, იმ მიზეზით, რომ კრება წელიწადში 4—5 ინიშნებაო, თავიანთ საინტერესო მოხსენებებს ტფილისსა ან სხვა ქალაქში მომხდარ კრებაზე კითხულობენ.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ლაპარაკი ალუძრავს იმის შესახებ, რომ საზღვარ-გარეთის სამთამადნო სკოლებში სწავლა დამთავრებულთ ნება მიეცეთ სამთო ინსტიტუტთან ეგზამენი დაიჭირონ ინჟინერის წოდებაზე.

◆ როგორც გაზეთები სწერენ, ჰფიქრობენ სტავროპოლის გუბერნიაში წელს საერობო დაწესებულებანი შემოიღონ.

◆ მთავრობას გადაუწყვეტია, კბილის საექიმო სკოლები საერო განათლების სამინისტროს დაუმორჩილონ. დღეს ეს სკოლები ემორჩილება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

თეატრი

ეს ორი წელიწადია თურმე თავ. ა. ი. სუმბათაშვილი (არტისტი იუჟინი) ახალ პიესას ადგენს. როგორც გაზეთები სწერენ, ამ პიესას წარმოადგენენ მომავალ სეზონში ცნობილ არტისტის ო. ა. პრავდინის საიუბილეო ბენეფისის დროს.

—

ახალ პიესას ადგენს აგრეთვე ნიჭიერი მწერალი ა. პ. ჩეხოვი, რომელიც ამ ჟამად ყირიმს იალტაში სცხოვრობს. იმის პიესას წარმოადგენენ შემოდგომაზე მოსკოვის სამხატვრო-სალიტერატურო თეატრში.

—

რუსეთში ეხლა არც ერთი ბელეტრისტი არა კმაყოფილდება რომანებისა და მოთხრობების წერით. ყველა სცდილობს პიესის შედგენას. არც საკვირველია: კარგი პიესა მეტ შემოსავალსაც აძლევს ავტორს და იმის სახელსაც უფრო ავრცელებს საზოგადოებაში. პიესის წერას შესდგომია ახალგაზრდა ბელეტრისტი ლეონიდ ანდრეევიც, რომელმაც ამ ბოლოს დროს ძალზე აალაპარაკა თავის პატარა მოთხრობებით რუსეთის კრიტიკა და საზოგადოება.

—

ტამბოვში 20 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა არტისტი ვასილ გიორგის ძე დავითაშვილი, რომელიც რუსულ სცენაზე მოღვაწეობდა. ტფილისის მეორე გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ 1893 წლიდან განსვენებული რუსეთის დიდ ქალაქის თეატრებში თამაშობდა და თავის ნიჭით ყურადღებაც მიიქცია. 1898 წელს განსვენებული საკუთარის დასით ეწვია ბორჯომს და მთელს ზაფხულს წარმოდგენებს მართავდა.

—

იტალიელ არტისტ ქალთა შორის ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა თურმე სულით ავადმყოფობა. ეს სენი ნამდვილ ეპიდემიად გადაიქცა. ამას წინად, მაგალითად, ერთის კვირის განმავლობაში ჭკუიდან შეშლილა სამი დიდად ნიჭიერი არტისტი ქალი: დინა გალლი, იმისი ქალი და ქ-ნი რეიტერი.

დაბა-სოფლები

სოფ. ზუბი (ქვემო იმერეთი). იანვრის დამლევს გუბში მოხდა კრება, ბ-ნ ნესტორ წერეთლის მეთაურობით, საზოგადო სავაჭროს დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბ-ნმა წერეთელმა განუმარტა საზოგადოებას, რა სარგებლობას მოუტანს სოფელს საზოგადო სავაჭრო სახლი, და ხალხმაც მოიწონა. მაგრამ, სამწუხაროდ, კრებამ მაინც ვერ მიაღწია დანიშნულებას და იგი გადიდო შემდეგისათვის. ასტყდა ჩვეულებრივი აურ-ზაური სავაჭრო სახლისათვის ადგილის ამორჩევაზე.

(ასევე მოხდა სამინისტრო სკოლისათვის ადგილის ამორჩევაზედაც, რომელმაც თითქმის სამს წელიწადს გასტანა. ჩვენს აურ-ზაურში ჩვენმა მეზობელმა სოფლებმა ორ-ორ-კლასიანი სკოლები დაიარსეს.) ყველამ, რასაკვირველია, თავის ახლოს მოინდომა და სხვა-და-სხვა...

ჩემის აზრით, სავაჭრო სახლი (ეგრედ, საწყობი) თუ ძალიან დიდ ხარჯს არ მოითხოვს, უნდა დაარსდეს შუაგულ სოფელში, სადაც ეხლა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლაა. იმისი განყოფილება უნდა გაიხსნას პატარა გუბში, რომ ამ ერთი ნაპირის მცხოვრებთ მიაწოდოს წვრილმანი საქონელი. მეორე განყოფილება უნდა გაიხსნას ხონის და ქუთაისის გზა-ტკეცილის პირზე, სადაც ეხლა კერძო სავაჭრო დუქნებია, რომ მეორე განაპირას მცხოვრებთ მიაწოდოს წვრილმანი საქონელი. ამ რიგად, ვისაც წვრილმანი საქონელი დასჭირდება (რასაკვირველია, ნაპირის მცხოვრებთ და არა შუა სოფელში), ისარგებლებენ განყოფილებებით, ხოლო სხვა საქონლისთვის საწყობს მიჰმართავენ. ვიმეორებ: ასე უნდა მოეწყოს საქმე, თუ მოსახერხებელი იქნება და დიდ ხარჯს არ მოითხოვს. თუ არ მოხერხდა, მე მგონია, სავაჭრო თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევს, რადგან ნაპირებზე მცხოვრებნი დაშორებულნი იქნებიან იმ საშუალო ადგილზე, რომელიც მე მოგახსენეთ საწყობისათვის, $1^1/_2$—2 ვერსით და მოულოდნელ საჭიროების დროს მაინც იმ ჩარჩ-ვაჭრების ხელში უნდა ჩავარდნენ, ვის ხელშიაც აქამდის იყვნენ.

ლადო გუბელი.

—

სოფ. ვეჯინი (კახეთი). 19 თებერვალს, ღამის 12 საათზე, ვეჯინის მღვდელს პეტრე ელიზბარიშვილს სახლში მიუვარდნენ ქურდები. ჯერ კარებისთვის დაუშენიათ კეტი და რომ ვერაფერი დაუკლიათ, ფანჯრის დარაბები შეუმტვრევიათ და ფანჯრიდან უბძანებიათ მღვდლისათვის: ფული გვიბოძეთ, თქვენს სადღეგრძელოს დავლევთ და ფაიტონითაც გვინდა სეირნობაო. იმათაც, რაც ებადათ, მიეცათ. მაგრამ ამას არ დასჯერდნენ თურმე და ორი ხანჯალ ამოღებული შესულიყო ფანჯრიდან, და გადმოუბრუნებიათ ყველაფერი, ბალიშებიც დაეშინჯნათ, უჯრები გამოეყარათ და სხვა... წაუღიათ 150 მან. ფული, ჩაი, შაქარი, კოვზები, ჩანგლები და სხვა ვერცხლეულობა. ორი ყაჩაღიც კარებზე მდგარა. ერთი თურმე წამ-და-უწუმ ისროდა რევოლვერს და მეორე ბერდენკას. სოფლელნი კომბლებით გარს ერტყნენ. მესამედ სოფლისას გაუგია ავან-ჩავანი ყაჩაღებისა, რომელნიც მთელი სამი საათი პარპაშობდნენ მღვდლის სახლსა და ეზოში, მაგრამ ერთსაც გრანტი არ დაუძრავს. როცა შევეკითხე, რატომ საშუალება არ იხმარეთ ყაჩაღების დასაჭერად მეთქი, მიპასუხეს, ბერდანკა მოგვიშვერათ. ამას წინად სოფ. გურჯაანში გასტეხეს მჭედლისა და მღვდლის სახლი; მღვდელ იაშვილსაც გაუტეხეს სახლი და რიგი ეხლა, ეტყობა, მ. ელიზბარიშვილზე მიდგა, რომელსაც რევოლვერი დასცეს და მარცხენა ბარძაყში გაუხვრიტეს ტყვია. გლეხები საზოგადოდ ამას გაიძახიან: „ბატონო, რომ გვინდოდეს, ვერ გაგვიბედნია ქურდის გამოჩენა; ხუთ-ექვსს თვეს დაიჭერენ და შემდეგ უფრო დახელოვნებულს გამოუშვებენ ციხიდან, ან გადაგვწვავს და ან ამოგვხოცავს“.

ერთი.

—

მაკვანეთი (გურია). 2 ამა თებერვალს მოხდა კრება მაკვანეთის (გურიაში) შემნახველ-გამსესხებელ ბანკისა. კრებამ განიხილა ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ეს ბანკი დაარსებულა 1900 წელს მარიამობისთვეში. დღემდე ჰყოლია 96 წევრი (საწევრო ფული 25 მან. ყოფილა თვითეულისთვის ბანკში შესატანად). საწევრო ფული შესულა 1097 მან. 91 კაპ. სათადარიგო 59—52 კაპ. მოგება ამ ხნის განმავლობაში 148 მ.—77 კ. გასესხებიათ წევრებზე 1191 მ. 34 კ. ხოლო კასსაში ნაღდი დარჩენილა 114 მ. 43 კ. ბანკს ჰქონია სულ 1305 მან. 77 კაპ. ამ ჟამად გურიაში ამისთანა ბანკები თუთხმეტამდის იქნება; იმედია, სხვა სოფლებიც დაიარსებენ ასეთ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას, რომელიც იხსნის ხალხს ჩარჩ-მძარცველებისაგან.

მესხი კ. გვარამაძე.

ხევსურთა თხოვა

არის ერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, რომელსაც ეწოდება თოვლიან-ყინულიანი ხევსურეთი. იყო დრო, ოდეს ამ მთების შვილნი სისხლს ანთხევდნენ საქართველოს სიცოცხლისათვის,—პირველობას ბრძოლის ველზე ძნელად თუ ვისმე დაუთმობდნენ; იყო დრო, როდესაც მათი სიმკვირცხლე, ფარ-ხმლის და შუბის ხმარება განთქმული იყო, მათი ერთგულება და მამაცობა ბრძოლის ველზე აუწერელი იყო. ესენი იყვნენ მთის არწივნი და ახლაც ჯერედ კიდევ არიან. ნუ ვინ იფიქრებს, ნამდვილს ხევსურის სურათს წარმოადგენდეს ის საწყალი დაბეჩავებული და კონკებში გახვეული ხევსური მგელა, ბარად რომ ჩამოდის სამუშაოდ. ნამდვილი ხევსური სულ სხვა არის. ის ლაღია, მკვირცხლი და მოუღალავი, როგორც კლდის ვაცი, კანჯარი და ქურციკი. ეს შავის კლდის შვილნი ბუდობენ იმ უღელტეხილებში და მთის მწვერვალებზე, სადაც იდებენ სათავეს არაგვი და იორი პირ-აქეთ და თერგი და ფოისთ პირ-იქით. ესენი არიან დარაჯად დაყენებულნი ჩვენ წინაპართაგან, რომ ამ ხეობებით ჩვენს ქვეყანას არ შემოჰპარვოდნენ მთიელნი, ქისტნი და ლეკნი. ყველამ იცის, რა ერთგულად ასრულებდნენ ხევსურნი ამ სამსახურს.

მაგრამ, ხომ ყველამ ვიცით, დრო შეიცვალა, ხმლის და თოფის ტრიალი კალამმა და ჩოტკმა

კოპოსმა კარლოს ბორრომეომ. სამღვდელოების მიერ დაარსებულ საკვირაო სკოლებში უპირველეს ყურადღებას აქცევდენ სარწმუნოებრივ გრძნობის განვითარებას. ლიუტერი გერმანიაში, ჯონ-ნოქსი შოტლანდიაში, რობერტ-რაიქსი ინგლისში არა ჰზოგავდნენ თავისს ღვაწლს სკოლების მოწყობა-გამართვისათვის. ყველაზე უფრო დიდი შედეგი მოიტანა საკვირაო სკოლამ ინგლისში, სადაც 1787 წელს რაიქსის მეცადინეობით მოსწავლეთა რიცხვი 300,000 ავიდა. და ეხლა არა თუ საფრანგეთსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მცირე ერთა შორისაც-კი გავრცელებულია საკვირაო სკოლები, სადაც მოწაფე ათასობით ითვლება. მოვიყვან ზოგიერთ ცნობას.

1889 წელს შვეციაში 5,729 სკოლა იყო, სადაც 241,747 მოწაფე ირიცხებოდა და 18,111 მასწავლებელი ასწავლიდა, ნორვეგიაში 210 სკოლა—31,184 მოწაფე და 1291 მასწავლებელი; დანიაში 387 სკ.—48,271 მოწაფე და 2327 მასწავლებელი; ფინლიანდიაში 5246 სკოლა, 110 756 მოწაფე და 9104 მასწავლებელი; მთელს ქვეყნიერებაზე კი 1890 წელს 1 მილიონი საკვირაო სკოლა იყო, სადაც 20 მილიონი მოსწავლე სწავლობდა 2 მილიონ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ლიუტერის მიმდევართა სახელმწიფოებში ეკკლესიის აშენების დროს, სახეში აქვთ ყოველთვის საკვირაო სკოლის დაარსებაც. გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფოში ხაზინა დახმარებას უწევს საკვირაო სკოლებს.

საყურადღებოა ისიც, რომ დამაარსებელთ არც დიდი შეძლება ჰქონიათ და არც ღრმა განათლება, იმათ იტაცებს მხოლოდ წმინდა მიზანი; „გრძნობიერი და მწუხარებაში თანამოზიარე ადამიანი (ასე ახასიათებს რობერტ რაიქსს იმისი ბიოგრაფი) უბრალო ასოთ-ამწყობი იყო; იოჰანნ-ფრიდრიხ-ბერგი, ფინლიანდიაში საკვირაო სკოლების დამაარსებელი—მღვდელი; ჯონ პოუნდსი—ღარიბი მეწაღე პორტსმუტს და სხვა“...—„ხალხის და უფრო კი მუშა კლასთა განვითარებაშიო,—ამბობს რუბაკინი, რომლის წერილით უხვად ვსარგებლობ (Воскресныя школы. Энцик. словарь Брокгауза XIII полут.)—საკვირაო და საღამოს სკოლებს საპატიო ადგილი უჭირავთ; საკვირაო სკოლის საშუალებით იმათ შეუძლიანთ მიიღონ არა თუ პირველ დაწყებითი სწავლა და სპეციალური ცოდნა, არამედ უმაღლესი განათლებაც-კი“. აი, ამ რიგად ის პატარა საკვირაო სკოლა, რომელსაც სამღვდელოება ჰმართავდა და მოწაფეების ყურადღებას უმთავრესად ცისკენ აპყრობდა, გაფართოვდა და განვითარდა.

მაგრამ ყოველივე ეს ისევ საზღვარ-გარეთ მოხდა... საზღვარ-გარეთი-კი შორსაა, ძლიერ შორს, და ამიტომ მივატოვოთ ჯერ ჯერობით ეს მოკლე ცნობებიც და დავუბრუნდეთ რუსეთს, რომლის მაგალითი შეიძლება პრაქტიკულადაც გამოვიყენოთ. რუსეთში კონფესიონალური და საერო საკვირაო სკოლები თითქმის ერთსა და იმავე დროს დაარსდა. მესამოცე წლებში, სტუდენტების მეცადინეობით, პროფესორის პავლოვის ინიციატივით და საზოგადო მოღვაწისა დ პროფესორის პიროგოვის ნება-რთვით (პიროგოვი მაშინ კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იყო) კიევში დაარსდა პირველი საკვირაო სკოლა; მარიამ შპილევსკისამ პეტერბურგში დააარსა იმავე დროს ქალთა საკვირაო სკოლა. საკვირაო სკოლები მალ-მალ არსდებოდა აქა-იქ. დიადს აზრს, რომელიც სურათად აქვს გამოთქმული ალჩევსკისას თავის დღიურში, ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ, მაგრამ მთავრობამ სკოლები მიხურა, რადგან „საკვირაო სკოლების დამაარსებელთა მეცადინეობა იმ საზღვარს გადასცდა, რომელთა შორისაც სკოლა უნდა იმყოფებოდეს“. ეს მეცადინეობა-კი, როგორც ცირკულიარი ამბობს, ყოფილა „ისეთის მოძღვრების გავრცელება, რომელსაც აზრადა აქვს შერყევა რელიგიურ რწმენათა, გავრცელება სოციალურ ცნობებისა საკუთრების უფლებათა შესახებ. ასე გასინჯეთ, ეს მოძღვრება თვით სახელმწიფოს წინააღმდეგაც-კი არის მიმართული“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც მოხელენი, რომელთაც ენახათ, ისე კერძო კაცნი დიდს მნიშვნელობას აწერდნენ, თვით დაკეტვის დღესაც-კი, საკვირაო სკოლების მოღვაწეობას წერა-კითხვის გავრცელებასა და ზნეობრივ ხალხზე გავლენაში.

რაღა თქმა უნდა, რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ძლიერ შეაწუხა სკოლების დახურვამ, მაგრამ ნათქვამია „ჰილაძის ხარი ალმაც ხნავსო“, და ამიტომ სალიბერალო პრესის ლაღადისმა მოახერხა მხოლოდ ის, რომ 1866 წელს, თუმცა სულ სხვა პირობებით და სხვა პროგრამით, ხელ ახლად დაარსდა სკოლები. ამ პატარა წერილში არ არის საჭირო გავითვალისწინოთ ყოველი ნაბიჯი საკვირაო სკოლისა, შევეხოთ ეხლანდელ იმათ მდგომარეობას.

საკვირაო სკოლის დაარსება შეუძლიან რუსეთში მთავრობას (მაგალითები ძვირზე უძვირესია), ქალაქისა და სოფლის საზოგადოებებს და კერძო კაცებს. ამისთვის საჭიროა ნება, რთვა ან სამოსწავლო დირექციისა ან და საეპარქიო-სამოსწავლო საბჭოსაგან.

კანონით საკვირაო სკოლის პროგრამა უდრის სამინისტროს საელემენტარო სკოლის პროგრამას; არა ერთხელ აღიძრა საკითხი პროგრამის გაფართოვებაზე, მაგრამ ჯერ ჯერობით კანონიერად პროგრამის გაფართოვება—სასურველი მომავალია.

მიუხედავად ასეთის უშინაარსო პროგრამისა რუსეთში, აბრამოვის სიტყვით—1 იანვარს 1900 წელს იყო 286 კერძო საკვირაო სკოლა, სადაც 50,000 მოწაფე ირიცხებოდა. უფრო ხშირად საკვირაო სკოლას აქვს საკუთარი წიგნთ საცავი, ჰყავს თავისი ექიმი, ხშირად ჰმართავს სეირნობებს, ჩიჩილაკს, საღამოებს და სხვას...

(დასასრული იქნება)

დაიჭირა. ხევსურთაც დღეს ხმლის აღება აღარ გვშორდებათ; იმათაც ეხლა სწავლა სწყურიათ. უნდათ მიშველება ამ მხრივ და ყველა ჩვენგანი მოვალეა დაეხმაროს. სწავლის საჭიროება ხევსურთაც ნაგრძნობი აქვთ, სკოლას აღარ უფრთხიან. დღეს ხევსურეთში ორი სკოლაა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა—ერთი ბარისახოში და მეორე ახიელში—და ორივე მოსწავლეებით სავსეა. სასწავლად მოდიან ოცის წლის დანიშნული ვაჟ-კაცები და გვეუბნებიან—წიგნი გვასწავლეთო. უნებლიედ გვეცინება, როცა ვუყურებთ ფარ-ხმლით გამოწყობილს სასიძოს და მის მცირე წლოვანს ცოლის ძმას, რომელიც დაცინვით უსაყვედურებს: „კარგად ვერ სწავლობ და ჩემს დაიას აღარ მოგცემო". უნდა გითხრათ, ხევსურნი ერთგვარად ეტრფიან ქართულს და რუსულს წიგნებს. სწავლის ნიშნითაც ბევრად აღემატებიან ბარის მცხოვრებთ. ვისაც კი უსწავლია სადმე წიგნი, სკოლაში თუ სალდათად ყოფნაში, (არ არის არც ერთი სალდათად ნამყოფი ხევსური, რომ წიგნს არ იცოდეს), ყველანი სცდილობენ არ დაივიწყონ წიგნი და ლაპარაკი. მოდიან და თხოულობენ—წიგნი მოგვეცით რამ საკითხავიო, გაზეთი ან კალენდარიო და ხშირად, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ, გულნატკენნი ბრუნდებიან. ბევრსაც არც სჯერათ, რომ არა გვაქვს, ზოგი ერბოს, არაყს გვპირდება (სხვა კი მათ არა გააჩნიათ-რა), ოღონდ გვათხოვოთ გაზეთი ან სხვა წიგნი საკითხავად. გარჩევა არა აქვთ წლევანდელია, თუ შარშანდელი. გურამიშვილის დავითიანიც კი მომთხოვა ერთმა მოხუცმა ხევსურმა. გამიკვირდა და შევეკითხე—საიდან სცოდნია ეს წიგნი. მითხრა, „ბევრი წიგნები მქონდის და ცეცხლმა შთამინთქაო". წამიკითხა კიდეც გურამიშვილიდან რამდენიმე ადგილი და, სხვათა შორის, ის ადგილიც, სადაც ამბობს: „ხუცესი უნდა ხუცობდეს, არ იყოს ჯაჭან მხედარიო". ამით ვგონებ ვისმე მათრახი გადაჰკრა. ზოგჯერ ისეთს ცუდს ამინდზე, ისეთის მთის მწვერვალიდამ სადმე ჩამოეშვება სისხამ დილას და კარს დაგიკაკუნებს ფარ-ხმლიანი ხევსური—წიგნი სადმე მომეციო, რომ გაოცებული რჩები, ჭკუაზე ხომ არ შეშლილა, რა დროს წიგნი არისო! მაგრამ ამას ჩქარა გამოერკვევხარ ეჭვიდან, როცა გეუბნება—ჩვენში სულ ასეთი ამინდია და მზეს საით უცდიდოო. მართალია, ს. ბარისახოში გვაქვს მცირედი ბიბლიოთეკა, დაარსებული ქრისტ. აღ. საზოგადოების მიერ, მაგრამ იგი მთლად შესდგება წმიდანთა ცხოვრებისაგან და ხევსურთ ეს არ აკმაყოფილებთ და ბევრს კიდეც წაუკითხავს. უფრო გონების სავარჯიშო და საერო წიგნებს თხოულობენ. თხოულობენ დაჟინებით „ვეფხისტყაოსანს".

ასეა საქმე და რომ წერილი არ გავაგრძელო, მოკლედ მოვსჭრი. ამ წიგნების მოყვარულ ხევსურთა პირით და მათის გაგას და წიქას შვილების თხოვნით მივმართავ ყოველს გულშემატკივარს, განურჩევლად წოდებისა, მწიგნობართ და გამომცემელთ, დაგვეხმარნენ ამ საქმეში და გამოუგზავნონ თავიანთი წვლილი ხევსურეთის სოფლის ბარისახოს წიგნთ-საცავს (ძველი იქნება თუ ახალი, საერო თუ სასულიერო, საბავშო თუ საჭაბუკო სულ ერთ გვარად შეიწირება), საიდანაც ჩვენ მივაწვდით მთელს ხევსურეთის მოსწავლეთ და თვით მასწავლებელთაც.

ადრესი: Черезъ Тіонеты, библіотека Барисахской сельской школы. ბარისახოელი

სასამართლო

52 წლის ქალის მოკვლა

გუშინ, 24 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე პოლოტის გუბერნიის მცხოვრების ბრონისლავ სავინსკისა, რომელსაც 52 წლის ქვრივის ცელესტინა ტულოვსკის დახრჩობა და 4000 მან. ნივთების მოპარვა ბრალდებოდა, და რადომის გუბერნიის მცხოვრების სტანისლავ სკიბასი, რომელსაც ამ ბოროტ-მოქმედების დაფარვა ბრალდებოდა. საქმის გარჩევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ბრალდებულთ, როგორც ოქმიდანა სჩანს, ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ ასე. 1902 წლის 15 ოქტომბერს, დილით, ტულოვსკის სახლში მცხოვრებს სპარსეთის საელჩოს მსახურს ახმედხანს შეუნიშნავს, რომ ტულოვსკაია ადგომას აგვიანებდა. ქალს ჩვეულებად ჰქონდა დილის 8 საათზე გამოღვიძება, ამ დილას-კი ცხრა საათამდე არასფერი ისმოდა. სახლში მცხოვრებთ იცოდნენ, რომ ქალი გულის ყრანდლით იყო ავად. როცა მისულან გასაღვიძებლად, ქალს შიგნიდან ხმა არ გაუცია, ამასთან კარებიც დაკეტილი ყოფილა. მაშინ გადაუწყვეტიათ, რომ ქალი გადაცვლილა და შეუტყობინებიათ პოლიციისათვის. როცა ზეინკლის შემწეობით კარები გაუღიათ და შესულან, საშინელი სურათი დახვედრიათ. ქალს ტილოს გასანთლულის პირბადით შეკრული ჰქონია პირი. პირბადე ერთს ადგილას თითქოს კბილებით ყოფილა გადრღნილი, ალბად, ბრძოლის დროს. კისერზე ქალს თოკი ჰქონია შემოჭერილი და ასე დამხრჩვალ ქალის გვამი ეგდო თურმე საწოლზე. როცა ტილოს ნიღაბი შეუხსნიათ, იქიდან გადმოვარდნილა მოკვნეტილი თითი, რომელიც, როგორც სჩანდა, ქალს ბრძოლის დროს მოუკვნეტია. რადგან ქალს თითი არ აკლდა, ეჭვი შეუტანიათ, რომ თითი მკვლელისთვის უნდა მოეკვნიტოს. როგორც აღმოჩნდა, ბოროტ-განმზრახველს სულ წაუღია, რაც-კი ძვირფასი ნივთები ყოფილა ოქროს, ბრილიანტისა და სხვ. ეჭვი შეუტანიათ, რომ მკვლელობა უნდა ჩაედინა ვისმე მახლობელს, ვისაც უნდა სცოდნოდა მოკლულის სახლის მოწყობილება და შეძლება. გარდაცვალებულის დას აღელაიდა ევდოკიმოვისას პოლიციისათვის განუცხადებია, რომ ეჭვი მაქვს უთუოდ მოსამსახურე სავინსკიზე, რომელთანაც განსვენებული ვერ იყო კარგ განწყობილებაშიო. ერთხელ ჩემმა დამ პოლიციასაც კი მიჰმართა და ბოლოს კიდეც გააგდო სახლიდანო. პოლიციას ერთის თვის წინად ამ ბოროტ-მოქმედებამდე დაუპატიმრებია დათხოვნილი მოსამსახურე სკიბა. იმას თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს, ამ საქმისა არა ვიცი რაო. შემდეგ სავინსკიც უნახავთ და იმასაც უარი უთქვამს. ბოქაულს შეუნიშნავს, რომ სავინსკის ცალი ხელი ჩვრით ჰქონდა შეკრული. როცა უკითხავთ, სავინსკის უთქვამს, ამ დღეებში ნიკოლოზის ქუჩაზე მოვდიოდი, ძაღლმა მომავლო კბილი და თითი მომკვნიტაო. ბოქაულს ეს ამბავი შეუტყობინებია გამომძიებლისა და ბრალმდებლისათვის. პირველ გამოძიების დროს სავინსკის კიდევ უარი გამოუცხადებია, მაგრამ შემდეგ გამოტეხილა ყველაფერში და უთქვამს, სხვათა შორის, რომ ტულოვსკის ქალთან მე დაახლოვებული ვიყავი; ერთხელ იმან ბრასლეტი დაჰკარგა და შემპირდა, თუ მიპოვნი, 5 მან. გაჩუქებო. ბრასლეტი ვნახე, მაგრამ ფული აღარ მომცა. ეს არ მაკმარა, რადაც ავადმყოფობა შემეყარა და შემდეგ სრულიად დამითხოვა. 15 ოქტომბერს, ღამე, მივედი 5 მანეთის სათხოვრად და რადგან არ მომცა, გულმოსულმა ბაწრით დავახრჩე და რაც რამ ძვირფასი ნივთები ჰქონდა, წამოვიღე. მოპარული ნივთები მივაბარე სკიბასაო. სასამართლოში სავინსკიმ განაცხადა, ბევრი რამ ისეთი მაქვს სათქმელი, რასაც ხალხის დასწრებით ვერ ვიტყვიო. ამის გამო რამდენისამე ხნით ხალხი დარბაზიდან დაითხოვეს. ამ საქმის გამო ჩვენება ჩამოართვეს 17 მოწმეს. ბრალმდებელმა დიდხანს ილაპარაკა და აღნიშნა ექსპერტ-ექიმის განცხადება, რომ ქალი ჯანმრთელი აღმოჩნდა გახსნის დროს და სავინსკის განცხადება სიმართლეს მოკლებულიაო. სასამართლომ 2 საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული და გადაუწყვიტა: ბრონისლავ სავინსკის—ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და კატორღაში 20 წლით გაგზავნა, ხოლო სტანისლავ სკიბას—4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

წერილი რედაქციის მიმართ

მოვაგონებთ ყველა იმათ, ვისაც იურიევში სწავლა-განათლება მიუღიათ, ახლა ცხოვრებაში არიან გასული და თან საამხანაგო ვალი აქვთ გაყოლილი, რომ დროზე დაგვიბრუნონ ფული, თორემ შემდეგ იძულებული ვიქნებით, იმათი სახელი და გვარი ქართულ გაზეთებში გამოვაცხადოთ, რომ თვით ჩვენმა საზოგადოებამ დასდვას იმათ საქციელს პირუთვნელი მსჯავრი.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Юрьевъ Лифл. губ. Студ. Діомиду Панцхава. Мельничная, № 5. უმორჩილესად ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

ამხან. მონდობილ. კვ. ლოსაბერიძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 თებერვალი.

მოსკოვი. სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა სათემო მიწათ-მფლობელობის სარგებლობა აღნიშნა; ადგილ-მამული მოსკოვის გუბერნიაში ყველას საკმაო აქვსო, გარდა ზოგიერთ რაიონისა, რომელთა შესახებ კომიტეტმა დაადგინა: იშუამდგომლოს, რომ ამ რაიონების გლეხებს საგლეხო საადგილ-მამულო ბანკში ნაკლები 0/00/0 გადაახდევინონ და სახაზინო მიწები საკმაოდ მიეცეს გლეხებს იჯარით; სასურველად იქმნა ცნობილი, გაწესრიგდეს გადასახლების საქმე და გაფართოვდეს საგლეხო ბანკის მოქმედება; საჭიროდ იქმნა ცნობილი, რომ გაადვილებულ იქმნას ადგილ-მამულის გაცვლა ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა და კერძო მესაკუთრეთა შორის, რისთვისაც გლეხებს დამატებითი სესხი უნდა მიეცეთ საადგილ-მამულო საგლეხო ბანკიდან და გარდა ამისა ყველა საბუთის ქაღალდები მამულებისგაცვლა-გამოცვლის შესახებ განთავისუფლებულ უნდა იქმნან საღერბო გადასახადისაგან; ამავე გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლად საჭიროა მიწების გამიჯვნის დაჩქარება, რისთვისაც საჭიროა მიწის მზომელთა რიცხვის მომატება, საჭიროა უკეთ იქმნას ხელმე უზრუნველყოფილი იმ მემამულეთა და სოფლის საზოგადოებათა უფლებანი, რომელთაც ადგილ-მამული ჩამოეჭრებათ რკინის გზების გასაყვანად და ან სხვა საზოგადო საჭიროებისათვის.

ბელგრადი. სერბიის სამეფოდ აღიარების დღესასწაულ დღეს სასახლეში სადღესასწაულო სადილი გამართა. მეფემ ადღეგრძელა უსურვა სერბიას და დიდი უცხოელ სახელმწიფოთა და მეფეთა სადღეგრძელო; შემდეგ აღნიშნა, სერბია იმითაა ბედნიერი, რომ დიდ-ხანს იყო მშვიდობიანობისა და წესიერების ელემენტად ბალკანეთის ნახევარ კუნძულზეო. მეფემ ისურვა, რომ შემდეგშიაც ესევე იყოს და რომ სერბიას იმედი ჰქონდეს ევროპის სახელმწიფოთა დახმარებისა. ფენტი-ფაშამ სადიპლომატო კორპუსის სახელით მეფისა და დედოფლის სადღეგრძელო წარმოსთქვა და აღნიშნა სამშვიდობო სურვილი მეფე ალექსანდრე და დედოფალ დრაგასი; შესრულდა ოსმალეთის ჰიმნი.

ხარკოვი. ადგილობრივმა სამღვდელოებამ კიევის მიტროპოლიტს ფლაბიანეს მიართვა ოზერიანის ღვთის-მშობლის ხატი და ადრესი. თავად-აზნაურთა საკრებულოში მიტროპოლიტის პატივსაცემლად გამართეს სადილი, რომელსაც 500 კაცამდე დაესწრო.

ევპატორია. ნება დართულ იქმნა ნახევარ კაპეიკიან გადასახადის შემოსავლიდან გადაიდოს 33 ათასი მანეთი ექსპორტისათვის მეორე ნავთსადგურის გასამართავად.

ათინა. ტახტის მემკვიდრე და სამხედრო მინისტრი შეთანხმდნენ მინისტრის პროექტის გამო. ეს პროექტი ჯარის რეფორმას შეეხება.

ვაშინგტონი. გერმანიის იმპერატორის იმ წინადადებაზე, რომ ფრიდრიხ დიდის ძეგლის კურთხევა გადაიდოს 1904 წლისათვის, რუზველტმა თანხმობა შეუთვალა და დაუმატა, რომ 1904 წელს დაამთავრებენ სამხედრო სკოლის აშენებას, რის გამოც შესაძლებელი გახდება უფრო დიდის ამბით გადახდილ იქმნას დღესასწაულითო.

კონსტანტინოპოლი. მაკედონიის ვილაეტების პოლიტიკურ დამნაშავეთა პატიებას გამოაცხადებენ ორშაბათს, თუმცა ეხლავე შეუდგნენ დამნაშავეთა განთავისუფლებას.

ინგლისის მხრივ უარს-ყოფენ იმ ხმას, ვითომ ინგლისის ელჩს ოსმალეთის მთავრობისათვის მოეთხოვოს რეფორმების შემოღება მცირე აზიის ვილაეტებშიაც. პატრიარქმა ორმანიანმა არა ერთხელ მიაქცია სულთანის ყურადღება მცირე-აზიის ვილაეტების მდგომარეობას და ეხლა პატრიარქს აცნობეს, რომ სულთანმა ბრძანება გასცა, სომხებს სხვებისთანავე უფლებანი მიენიჭოს და უსამართლობა არ მიაყენონ.

22 თებერვალს ადრიანოპოლსა და სერესში 10 ათასი თოფი გაიგზავნა იარაღის საწყობების შესავსებად.

ბლაგოვეშჩენსკი. ქალაქის საბჭომ დაადგინა გაჰგზავნოს პეტერბურგში დეპუტაცია და იშუამდგომლოს ამურის რკინის გზის შემოღების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსავალი ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამზაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ საბჭოსთან არის **სამი თავისუფალი ვაკანსია** მიწა-ადგილების გადამღებისა (სიომშჩიკ), რომელთა მოვალეობას შეადგენს სამადნო მოედნების ზედა-პირისა და მაღაროების გეგმაზე გადაღება. გადამღების ჯამაგირია 1200 მანეთი წელიწადში. გადამღები ვალდებულია ჭიათურაში იცხოვროს.

ვისაც ჰსურს ამ თანამდებობის მიღება, კეთილ ინებოს და გამოგზავნოს ქუთაისში საბჭოს სახელზე ცნობები განათლების ცენზისა, პრაქტიკულ მუშაობისა და სხვათა შესახებ. (5. 1—1).

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად

ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**ხაშური** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში**, ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (10—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით მოჰხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით **ბეტონის წყლის მილის** გაკეთება, სიგრძით 80.00 საჟ., სიგანით 0.375×0.25, აწ არსებულიდან მიხეილის ქუჩაზე ფრიდონოვის სახლამდე, 1700 მან. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობები შეუძლია განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (5 3—2)

კავკასიის საიმპერატორო

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან

იყიდება

სეპარატორები

და ბალდადის თეთრი და იტალიური ყვითელი **აბრეშუმის თესლი**. (ნ. 3—2)

საჭიროა ორი იმერელი

მებაღე

ტფილისში ათი დესეტინა მამულის დასამუშავებლად. მოხვნა, თესლი, იარაღი და სახლი ჩემია. იკითხეთ „მოგზაურის" რედაქციაში, მეჟევაია ქუჩაზე, № 72. (3—3)